The European Law Students' Association
GEORGIA

ი. ჭავჭავაძის გამზ. 3,
0179, თბილისი, საქართველო,
ტელ.: +995 32 290841
ფაქსი: +995 32 223710
ელ-ფოსტა: info@elsa.ge

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია
საქართველო

www.elsa.ge

3, Chavchavadze Ave.,
0179, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 32 290841
Fax: +995 32 223710
E-mail: info@elsa.ge

№10/56 06 ოქტომბერი 2010 წ.

მოკლედ პროექტ „ერთი მსოფლიოს“ შესახებ:

უცხო ქვეყანაში, უცხო გარემოსა და საზოგადოებაში ინტეგრაცია ყოველთვის იყო და არის სირთულეებთან დაკავშირებული. საქართველოში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები არაერთ თვესა და ბევრ ენერგიას ხარჯავენ იმისთვის, რომ შეიძინონ ახალი მეგობრები, გაერკვნენ ადგილობრივ ჩვეულებებში და თავი არ იგრძნონ საზოგადოებისგან გარიყულად. XXI–ე საუკუნის საქართველოში თავისი განვითარების ტემპებისა და ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი ზრდის პირობებში სულ უფრო და უფრო მეტი ინვესტიციები იდება საზღვარგარეთიდან, საგრძნობლად მეტი უცხოელი ახალგაზრდა არჩევს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს საკუთარი პროფესიული უნარ–ჩვევების გასაღრმავებლად. საქართველოს მიერ დასახული ევროპული გეზის წყალობით მრავალი მოხალისეობრივი თუ საქველმოქმედო საერთაშორისო პროექტი ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ბოლო დროს საგრძნობლად იმატა უცხოელთა სტუმრობამ ჩვენს ქვეყანაში. ქართული სტუმართმოყვარეობისა და ტოლერანტული ბუნებიდან გამომდინარე, ქართველ ახალგაზრდებსაც აინტერესებთ უცხოური ჩვეულებები, მათი კულტურა და ნაციონალური თავისებურებები.

ელსა საქართველომ გადაწყვიტა, რომ არა მხოლოდ გაგვეცნო ერთმანეთისთვის ჩვენი საზოგადოების ეს ორი ჯგუფი, არამედ ისინი დაგვეახლოვებინა ერთმანეთთან, გაგვეღვივებინა მათ შორის მეგობრული კავშირები, მიგვეცა საშუალება გაცნობოდნენ ერთმანეთის კულტურას, რაც მთავარია _ სწორი მიმართულებით წარგვემართა მათი ახალგაზრდული პოტენციალი და მოტივაცია. სწორედ ამ მიზნების მისაღწევად შეიქმნა პროექტი ‘ერთი მსოფლიო’, რომელიც განხორციელდება თბილისში და ითვალისწინებს ელსა საქართველოსა და საქართველოში მყოფი დიპლომატიური კორპუსის მჭიდრო თანამშრომლობის გზით, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ და საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდებს შორის კულტურული კავშირების დამყარებას, მათ შორის მეგობრობის გაღვივებას, აგრეთვე, ახალი იდეებისა და მოტივაციის გენერირებას სამომავლოდ კავშირების გამყარებასა და კულტურული თანამშრომლობისთვის. ამ

მიზნების მისაღწევად შედგება 30 კაციანი სემინარის ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტდება 10 ქართველი ახალგაზრდისა და 20 უცხოელი ახალგაზრდისაგან. სემინარები ითვალისწინებს მონაწილეთა კულტურულ-შემოქმედებითი და მეგობრული კავშირების დასამყარებლად გუნდური მუშაობის, გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების, პროექტის დაგეგმარებისა და წერის, საზოგადაობასთან ურთიერთობისა და ფონდების მოძიების ტრენინგებს, კულტურულ საღამოებს, რომლებიც ითვალისწინებენ მონაწილე ქვეყნების სამზარეულოს, ისტორიისა და ნაციონალურ–კულტურული თავისებურებების პრეზენტაციებს, ქალაქგარეთ პიკნიკზე გასვლასა და სპორტულ აქტივობებს.

პროექტის პარტნიორ თითოეული ქვეყნის საელჩოს მიეცემა საშუალება მონაწილეებს გააცნოს მათი ქვეყნის საქართველოსთან კულტურული თანამშრომლობისა და დაახლოებისთვის განსაზღვრული სტრატეგიისა და უკვე განხორციელებული თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. არაფორმალური განათლების ეს კურსი აგრეთვე ითვალისწინებს მონაწილეების მიერ გენერირებული ახალი იდეების პრეზენტაციას, ხოლო მონაწილეებს საუკეთესო იდეებისთვის ფონდების მოძიებასა და განხორციელებაში მხარდაჭერას გაუწევს ელსა საქართველო. სემინარების ეს კურსი თითოეული სასემინარო ჯგუფისთვის შეადგენს ერთ თვეს. პროექტის მსვლელობის სრული ხანგრძლივობის განმავლობაში, რომელიც შეადგენს 11 თვეს, დაკომპლექტდება 10 სასემინარო ჯგუფი, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ კურსს გაივლის 300 უცხოელი თუ ქართველი ახალგაზრდა და განხორციელდება ასამდე ახალი იდეის პრეზენტაცია.

კურსის დასრულების შემდეგ თითოეულ მონაწილეს გადაეცემა სერთიფიკატი.